მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 1 1883—1896 15 იანვარი

ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი, დროებითი მმართველი იმერეთის ეპარქიისა.

1 იანვარი 1896 წელი.

ერთი წელიწადი მოემატა ჩვენს ქვეყნიურს სიცოცხლეს, ხოლო ერთი წელიწადი დააკლდა ამ ქვეყანაზე ჩვენთვის დანიშნულს ცხოვრების დროს. მოგილოცავთ ახალს წელს, ჩვენო საყვარელნო მკითხველნო! «აკურთხე, უფალო, დასაწყისი ამა ახალი წლისა. მოგვანიჭე, უფალო, წვიმა კეთილჟამიერი, ცვარი ნაყოფიერი, ქარი ზომიერი და კეთილშეზავებული. გვიხსენ, უფალო, სიყმილისაგან, სვრისა, ძვრისა, სეტყვისა, ცეცხლისა, უცხო თესლთა ზედამოსვლისაგან, ურთიერთის ბრძოლისა, ჭირისა და იწროებისაგან. გევედრებით, უფალო, მოგვანიჭე მეცნიერება გველისა და უმანკოება მტრედისა»...

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი,

ყველა თვალ წინ მეხატება
წარსული და მომავალი,
ფანტაზია ამეშალა,
ნდომამ შემქნა თითქოს მთვრალი.

—

ათასი რამ მენატრება,
ათასი რამ მსურს ასრულდეს;
მაგრამ დღეს რომ ვინატრო და
ამ ახალ წელს გამიცრუვდეს?

—

ბევრჯელ ვცადე, რაც გვჭიროდა,
ნატვრით ყველა დამეხატა!
ვსთქვი კიდევაც, მაგრამ უფრო
ჭირი ჭირზე დამემატა.

—

მაშ რისთვისღა ავიშალო
უშნოთ ნდომის სალერღელი?
რად ვგალობდე იმ კილოზე,
რაც არ არის სამღერელი?

—

სჯობს, ვარჩიოთ ყველამ ერთად
მეგობრებმა მეგობრულად,
მოყვარესა მოყვრად ვსცნობდეთ,
მტერსაცა შევხვდეთ მოყვრულად.

—

ყოველ საქმეს საკეთილოდ
უჯობს გულის ხმიერობა,
უკუვაგდოთ საზიზღარი
პირმფერები, ცბიერობა.

—

მოვერიდოთ, ვინც გვაჩვენოს
მლიქვნელობით კბილი თეთრი,
გწამდეს, მზად აქვს მას მახვილი
გალესილი დაგცეს მკვეთრი.

—

სჯობს, ერთმანეთს სარკესავით
გული ძმურად გადუშალოთ,
კეთილის მქნელს ბოროტებით
ხელი რომ არ შეუშალოთ.

—

საქებარსა საქებური
უქოთ, შურით არ გავკიცხოთ,
შურიანსა შევაფურთხოთ
ზიზღით, შური დავავიწყოთ.

—

და თუ ასე ბედნიერად
გავატარეთ ჩვენ ეს წელი,
ვიცი, ღმერთიც აგვისრულებს,
რაგინდ საქმე გვქონდეს ძნელი...

ქართული საეკკლესიო გალობა.

ჩვენ მივიღეთ დაბეჭდილი ქართული გალობა, ლიტურგია იოანნე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის, გადაღებული ფილიმონ ქორიძისაგან. ეს ნოტები დაბეჭდილია შარაძის სტამბაში და გამოცემულია მ. შარაძისა და ამხანაგობისაგან.

მადლობა ღმერთს! 1860 წელს აქეთ არსებობდა კომიტეტი ქართული გალობის აღდგენისა, რომლის წევრთა ნამსახურებითი სიები 45 წლის განმავლობაში შემკობილი და გამშვენებელი იყო ამისთანა კომიტეტის წევრების ჩინებული წოდებით, მაგრამ ქართული გალობის საქმეს ზარალის მეტი არა მისცემია რა. გაუქმდა კომიტეტი, რომლის იმედით ასე იყო ყველა დატყუებული. ცოტა ხნის განმავლობაში იჩინა თავი დაბეჭდილმა მშვენიერმა ქართულმა გალობამ. ნოტის მცოდნე პირები დღეს ჩვენში ბევრნი არიან და სადაც შინჯეს ამ ახალ დაბეჭდილ ნოტებზედ გალობა, მშვენიერად გამოვიდა და სრული იმედია, რომ ყველა ეკკლესია მოიპოვებს ამ ძვირფას განძს თავისს საკუთრებად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოჲს ძველი დროჲს თავ-გადასავალი.

შემდეგი *)

დაკით მეფისა ალმაშენებელისა მიერ ყმათა თჳისთა თანაზენობა და შეკონება მათი მისგან კეთილად და წრფოსნა მათი, რომელ ტოდკთა ჩჳენთა წილ ესრეს სული განმდიერებული თურქთა ჩჳენზედ და უკეთუ შეანანოთ, მოგუხდეს ღმერთი წყალობითა თჳისითა.

ჰბრძანა დაკით სიტყვა ბრძნული, ესაუბრა თჳისთა ყმათა
ესე სჯობსო ცუდად ყოფას, მოუწოდოდ მცირე სპათა,
შეეეკრთნეთ თურქთა ბანაკს, ვეთანხმავნეთ ურთერთს თქმათა,
ღმერთმან ჰყოს და ძლევა მოგვცეს, გაუმწარებთ სულთა დგმათა.
დაითანხმაეა ერთგულნი თჳისნი, თანავე ზრდილები,
ჰკადრეს, მეფეო, ჩვენ თქვენთჳის არ გვიმძიმს გლახ სიკვდილები,
თქვენს წინა მოესწყვდეთ მამაცად, მტერთ ებრძოდეთ მახვილ წვდინებითა,
ნუ თუ მოგვეხედოს მაღალმან, არც მისგან საადილები.
მეფემ უბრძანა, მე თქვენი ვიცი თაეისა დიდება,
უფლისა მიერ ძალთასა, ვჰყოთ თურქთა ზედა ქცდება,
მისთა მოსაეთა ყოველთა წყალობით განეცხადება,
ეხადოთ დედასა ქალწულსა, მისით ეიხმოთ მზადება.
Ოდეათა ჩვენთა სიმრავლით გვასმიან ღლენი წინანი.
ვითარ ყოფილან მამანი ჩვენნი შრომითა მწყინანი,
აწ თუ მოეეგოთ სინანულს, ეიხმაროთ ცრემლნი მდინანი,
ინებოს ღმერთმან, შეემუსროთ ჩვენ მტერთა ჩვენთა ბინანი.
სადა არიან კრძალულნი სამსხვერპლო შესაწირავნი,
ეკკლესიანი დიდ-დიდნი, შენობა გასაკვირავნი,
თვით წმიდა იგი წმიდათა ტაპეზნი მზეებრ მჭეკარავნი,
აჰა, აწ ამათ ყოველთა თურქნი არიან მჭირავნი!...

*) ამოღებულ «მწყემსი» № 18 1895 წ.

ტაძარნი იგი წმიდანი ბილწთაგან შეგინებულნი,
ნაცელად მღვდელ-მოქმედებისა ცხენნი ბმად დარიგებულნი,
ზედან მუყრნი და მულიმნი საყვირლად ამაღლებულნი,
ჩვენის ცოდეითა უღმრთონი ჩვენზედა განლაღებულნი-
შეესწიროთ სული ქრისტესა, ხმალს მიესცეთ მძლენი მკლავები,
თუ მოესწყდეთ მისთვის, საჩვენოდ არ იყოს საზრუნავები!
ღვთისა დედასა მარიამ ეუმსხვერპლოთ მოკვდეთ თავები,
მან თუ ინებოს, ქრისტეს მტერთ უყენოთ დღენი შავები!
მეფე სუფევდა წაღელის თავს, დაედგა მტკიცე ეანები,
არ იყო ველთა არასად შენობა თანისთანები,
თუ არა მთათა მაღალთა ციხენი აღნაყენანები,
ოხრებულ იყო თურქთაგან ქართლოსელთ სიერცე განები.
კაცთა სანაცვლოდ წატირნი ვიდოდეს განმრავლებულნი,
დაქცეულ იყვნენ დიდ-დიდნი შენობა კეთილგებულნი,
სუფუდაყე მეფე გულითა და ერნი მისნი კრებულნი,
ჰსთათბირობდიან მტერთათვის სპრძოლად განწესებულნი.

ბოროტისა მის ლიპარის ძისა კანდგომა დკოთის მოკვეთრის მკოვს დაკით ალმაშენებელისგან და ტიხეთა გამაგრება მისკან.

მას ჟამს განუდგა ლიპარის ძე მეფეს სიმაგრეთადა,
იყო ჩვეული მარადის ბოროტი სიცუდეთადა,
ესმა მეფესა მორწმენეს, შემოუძახა მხნეთადა,
ციხეს მიუდგა, შეიპყრა, ჰსწვართა ვით მამამ ძეთადა.
შეწყალებული გაუშვა, არ იყო მომხსენ ძეირისა;
უბრძანა, კელამცა ნუ განახმ შენ გამტეხლად პირისა,
თვარე მოგაგო ნაცვალი, გითენო დღენი ჭირისა,
მი

ჰსცნა დაეთ, მალედ მიეხდა, არა ჰყო ხანის ყოენება,
შეიპყრა პატიმრობითა, შეხედა გლახ ცრემლთა ფონება,
კრული გაგზავნა ბიზინტად, მოკვდა ბოროტი გონება.

დაეთ მეფისა და ალმაშენებელისაგან შეკრება სიმდიდრეთა გრეხულთა სულიერთა სამეფოს ზედა, მით რომელ იყო მას ყმებს ვეთნიმე მწყესნი და სიმწყოსნიანი ფრიად განრყენილ სარწმუნოებასა ზედა; და ბრეკელად განსწორებულ იფქლი და ალმოსხსარა ბრძოლითურთ ღვრაძღნი.

მცირედ შეიქმნა ქართლისა მას ჟამებს მოშენებანი, გაჰხედეს ეელთა გამოხელა, ჰკეეა სოფლებთ კეალად გებანი,
გარნა მწყემსთა და სამწყსოთა იყო მძლედ განრყენილებანი,
ჰბრძანა მეფემან, ესე სჯობს, ეჰკოთ მღედელთ-მთავართა კრებანი.
აწვევა კათალიკოზი და მღვდელთ-მთავართა დასები,
გარდაყენენ უწესოდ მქცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ტ ი.

(სამეცნიერო სწავლა).

ყველა სულდგმულებიდან, რომელნიც დედამიწის ზურგზე არსებობენ, მხოლოდ ერთად ერთი კაცია ყველასაგან მეტის მეტად განსხვავებული და ეს ნამეტანი განსხვავება წარმოდგება არა კაცის ფიზიკურის, სხეულის, არამედ სულიერის ბუნებისაგან. საუკეთესო მოდგმას კაცთა ნათესავისას, ბუნების საზოგადო კანონის თანახმად, უნდა ვეძიებდეთ ცხელს ქვეყნებში, სადაც ასე უხვად და გასაოცრად ხარობს და იზრდება მრავალი მშვენიერი და მდიდრული მცენარეობა და ცხოვრებენ ვებერთელა და ღონიერი ცხოველები. მაგრამ ამ ქვეყნებში, პირიქით, კაცები მეტად უშნოები არიან გარეგნობით და მასთან მეტად სუსტნი ფიზიკურად და გონებითად. ტროპიკული ქვეყნების მკვიდრნი ფრიად უშნო და საზიზღარი სახისანი არიან. მომეტებულად გაუთლელი ხასიათისა არიან და თავიანთი ლტოლვა-მიდრეკილებით უფრო ცხოველებს ემსგავსებიან, ვიდრე კაცსა. ამერიკის ტროპიკულ ტყეებში მცხოვრები წვთელ კანიანი კაცი ისე ცოტათი განსხვავდება იმის გარეშე მცხოვრებ ცხოველთაგან, რომ განათლებული ევროპიელი ძლიერ ცოტა განსხვავებას ჰპოვებს ამ კაცსა და მაიმუნებს შორის, მხოლოდ მისი გარეგანი შეხედულობა დაარწმუნებს მნახველს, რომ იგი კაცია.

რაც უფრო და უფრო შორდები დედამიწის შუაგულ მდებარე ცხელ მიდამოებს და უახლოვდები პოლიუსებს—ცივ ადგილებს, ისე უფრო ნაკლებ მცენარეულობას და ცხოველებს ხედავს კაცი. კაცთა ნათესავი კი თანდათან უმჯობესდება, რაც უფრო შორდები ცხელს ადგილებს. ამას ცხადათ ამტკიცებს კავკასიის, თეირანის და სომხეთის ზომიერ ჰავიან ადგილების მკვიდრთა წმიდა და შნოიანი პირის სახე. როცა ამ ადგილებს, სადაც კაცთა ნათესავი როგორც გარეგნობით, ისე ფიზიკურად და გონებითად უმაღლეს წერტილზედა დგას, მოშორდები და ცივს ჰავიან ქვეყნებში შედიხარ, ხედავ, რომ აქ კაცთა ნათესავი თანდათან სუსტდება, ასე რომ მატერიკების სულ განაპირა მხარეებში კაცი რაღაცა უმზგავსს არსებას წარმოადგენს და გონებითად იგი ძლიერ ძირსა დგას.

კავკასიის ტომის დგმათა შორის ავიღოთ ქართველი, სომეხი და სპარსელი. ეს ხალხი თავისი შნოიანი პირისახით, კეთილშობილური გამომეტყველებით, ლამაზი და მკვირცხლი თვალებით, მოხდენილი და მომრგვალო თავით, ტანის შნოიანი მოყვანილობით და მიხრა-მოხრით მნახველს წარმოუდგენს იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სილამაზეს. ეს სილამაზე ევროპის ზოგიერთ მცხოვრებთა კუთვნილებასაც შეადგენს, მაგრამ იქ ეს სილამაზე რაღაცა ხელოვნურად შემუშავებულია და არა ისე ბუნებრივი, როგორც ზემოთ ხსენებულს ადგილებში.

აფრიკაში და აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით კაცთა ნათესავი შესამჩნევად იცვლება გარეგნობით. ამ ადგილებში მცხოვრებთ არა აქვთ სწორი შუბლი, ნაცვლად შუბლი ნამეტანად გადახრილია მოგრძო თავზე. პირის სახე აბესინიელთ აქვსთ შავი და თმა აბურძგული, კაფრები და მალაესები კიდევ უფრო მოშაონი არიან და თმა ხუჭუჭი აქვსთ; ლაფშები მოსქო და ჩამოსივებული. ბოტტენტოტები მეტის მეტი უსახონი არიან. ბუშმენები აფრიკის სამხრეთ მხრისაკენ ბოტტენტოტებზე კიდევ უფრო საძაგელი სახისანი არიან. აზიის აღმოსავლეთის მიდამოებიდან დაწყებული მათ გამოავებამდე კაცის სახე გარეგნობით სულ სხვა ნაირად იცვლება. როცა ევროპიდგან ურალის მთებს გავშორდებით, აქ სულ სხვა სახის კაცებს ვხედავთ. აქაურ მკვიდრთა თავი, თითქმის, ოთხ-კუთხიანია, შუბლი დაბალი, მიტყლეჭილი პირის სახე, წვრილი, შავი თვალები, თმა აბურძგული, თვალების ქვეშ ლოყების ძვლები გამოწეული, თხელი და განიერი ტუჩები, მოყვითალო და მბზინავი პირის სახე, მიტყლეჭილი ცხვირი, ტანი საშუალო სიმაღლისა. ამისთანა სახის კაცებს ხედავთ მონგოლებში, რომელნიც მაგარი და ძარღვიანი ტანის აგებულებისანი არიან. ამისთანავე სახის კაცები არიან ჩინეთში, ტიბეტში და იაპონიაში.

კავკასიის ტომის კაცებს აქვსთ გრძელი თმა და წვერი, ხოლო მონგოლთა ტომის კაცებს სრულებით არა აქვსთ წვერი და თუ აქვსთ, ისიც კალმიკებს ჯ მათ შიაც ცოტას. ჩინეთში კაცებს ძლიერ პატარა წვერები ეზდებათ და ისიც ზოგიერთებს, თორემ მრავალი კაცი ქალივ-ით პირტიტელები არიან. მონგოლთა ტომის თემი 502,000000 მეტია. უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრისკენ მცხოვრებ მალაიის ტომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემთ თუმცა პირის სახე შავი აქვსთ, მაგრამ იგინი მოყვანილობით და სილამაზით ზოგიერთი ევროპიელთ აკვირვებენ.

ავსტრალიის მკვიდრნი სულ სხვა სურათს წარ-ოგვიდგენენ. აქაურებს აქვსთ ხმელი და გამჭკნარი პირის სახე, მუხლის ძელები მრუდე და გადახ-ილი, ხერხემალი კუზის მზგავსი, ჩაჭეკეული შუბლი, გამ-ოწეული ლოყები მამშუნების მსგავად. ავსტრალიაში მცხოვრებნი, განსაკუთრებით პაპუასები და ალფუ-რები თავიანთი პირის სახით და ტანის აგებულობითც ხადთ გვიმტკიცებენ, თუ რამდენად შეიძლება კაცის სხეულის ბუნებისაგან დამახინჯება.

ამერიკის დასავლეთ ქვეყნებში ადგილობით მკვიდრთ—ამერიკის ინდიელთ აქვსთ ტანის კანი სპილენძის ფერი და ტანი სუსტი და ულაზათო. სამხ-რეთ ამერიკაში, ცეცხლის ქვეყნებში, მცხოვრებნი მეტად საძაგელი სახისანი არიან და მასთან ფრიად განუკითარებელნი და საბრალონი.

ერთი სიტყვით საითკენაც კი უნდა წახვიდე კავ-კასის ტომის თემთა საცხოვრებელ ადგილებიდგან, ყველგან შენიშნავთ, რომ კაცთა ნათესავი ზემოთ საცხოვრებელ ადგილებიდან მოშორებით თანდათ ან გვარდება, სუსტდება და უშნოდება როგორც ტანის აგებულობით და სახით ისე გონებით.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ბედნიერად ჩავთვა-ლოთ ჩვენი თავი იმიტომ, რომ ლამაზი სახისანი ვართ და ზოგიერთი სხვა ქვეყნის კაცები შავები და ყვითლები არიან. თუ ჩვენ და ევროპიელებს ისე მო-გვწონს თეთრი და ვარდის ფერი ლოყები, რომ რო-დესაც ასეთი პირის სახე არავისა აქვს, ის იძულებულია ხელოვნურად მაინც გაითეთროს და გაიწითლოს ლო-ყები, შავ ხალხს სრულებით არ მოსწონს თეთრი პირის სახე და ცდილობს, რომ უიმისოთაც შავი პირის სახე კიდევ უფრო მომტებულად გაიშაოს, რადგან მათ თეთრი პირ-ს სახე ნაკლულევანებად მიახნიათ!..

კავკასიობის მთელ მოდგმათ მეცნიერება ხუთ ნაწილად ჰყოფს. პირველს ნაწილსა შეადგენენ კავკა-სიის ტომი ინდო-გერმანელთა და ინდო-ევროპიელებთან ერთად; მეორეს—მონგოლიის ტომი; მესამეს—ეთიო-პიის და ნეგრთა ტომი,—რიცხვით 190,000,000; მეოთხეს—მალაიის ტომი და მეხუთეს—ამერიკის ტომი.

კავკასიის ტომის ხალხი არის თეთრი, ლამაზი და განათლებული, მონგოლიისა—წაბლის ფერი და მოყვითალო და მასთან უმრავლესი ყველა ხალხზე; მალაიის—შავი, მომწვანო ფერის, ამერიკის—სპილენ-ძის მოწითალო ფერისა; ეს ხალხი რიცხვით 14,000000.

ამ ბოლო დროის გამოანგარიშებით მთელს დედამიწაზე 1400,000000 ხალხი ცხოვრებს. ამათში ევროპიელნი არიან 290,000000, აზიის მცხოვრებნი 800,000000, აფრიკისა — 190,000000, ამერიკისა 75,000000 და ოთხ მილიონზე მეტი ხალხი სცხოვ-რობს ავსტრალიაში და პოლინეზიაში.

დრო და დრო ჩვენ დავბეჭდავთ სხვა და სხვა ქვეყნის კაცების სახეთ მათი საყურელი მორთუ-ლობით და მოკაზმულობით.

ბასუხი თავად იასონ გელოვანს

წარსული წლის გაზეთ კვალის მე-31 №-ში დაბეჭდილი იყო დ. ზენტაფონიდგან მოწერილი პატარა ამბავი, რომლითაც ეაცნობებდი პატიეცე-მულ მკითხველ სახოგადოებას, რომ ახალგაზდა ექი-მი ი. ჯინორიძე აქედგან გადაიყვანეს ლეჩხუმის მაზ რაში; ყვირილის სახოგადოებამ თანგრძნობის ნიშ-ნად გამოსათხოვარი სადილი გაუმართა-მეთქი. შეეხე ავრეთვე მის პირადულ ღირსებას და ესთქი, რომ სწორედ სასიხარულოა ახალგაზდა ჩვენებური ექიმი მადის ემსახუროს ხალხს იქ, იმ გვარ მაზრაში, რო-მელიც ერთ მიეარდნილ მაზრად ითვლება და სადაც ხალხს უმეტესად ეჭირვება მიშველება და მეცნიერე-ბის სხეიე მიფენა; თან დავასახელე იმ ნატერით, რომ ბ. ჯინორიძის მაგალითისათვის სხვებს, ჩვენს ახალგაზდა ექიმებსაც, მიებაძოსთ და სოფლის მკვიდრთ მდგომარეობისაკენ საშეელი ხელი მიეწვდინოსთ მე-თქი. შენიშენა გავამთავე უკვდავის ალ. ჯაზიბეგის ლექსის ერთი ტაეპით: «სინათლე იქ უნდა, სადაც კი უფრო ბნელია, ცეოხლისა შემოკეთება თუ კი რომ ცოტა ნელია და იქვე ჩაბმა ვეაქ კაცთა, სადაც რომ უფრო ძნელია». ერთი სიტყვით მთელ ამ პატარა ამბავში ის დედა აზრი მქონდა გატარებული, რომ ჩვენი ახალთაობა, უმაღლეს სასწავლებლებში გონე-

ბა გაწვრთნილ—გავარჯიშებულნი, მიშველებოდენ სოფლებს და თავიანთი მეცნიერების სხივით განეფანტოსთ ის უმეცრების ბურუსი, რომელიც გარს შემოგრაგვნია დაბეჩავებულს ჩვენს გლეხობას და წარმატების გზას უბნელებს. ესევე დედა აზრი მაქვს გაყვანილი ჩემს ერთს საყმაწვილო მოთხრობაში «მომავალი ექიმი», რომელიც 1894 წ. საყმაწვილო ჟურნალ «ჯეჯილში» იყო დაბეჭდილი. ამავე აზრს ვავრცელებ მე პირად ჩემს ნაცნობ მოსწავლე ახალ. თაობაში და ესევე აზრი მქონდა გატარებული იმ პატარა ამბავშიდაც. რომელსაც, საუბედუროთ, ასე გაუწიწმატებია თ. იასონ გელოვანი. მე დარწმუნებული ვარ, თ. გელოვანო, რომ ჩემი წერილი დაკვირვებით ჩაგეკითხათ ბოლომდის, აგეზომ-დაგეზომათ და წარმოგედგინათ თქვენი ქვეყნის დღემანდელი მდგომარეობა, თქვენც დამეთანახმებოდით იმ, თქვენის აზრით, ვითომდა დიაკვნურის მეტიჩარობით გაზვიადებულ ფრაზების «ლეჩხუმისათვის ფასდაუდებელი»-ს სინამდვილეში, მაგრამ საუბედუროდ ამ ერთ ფრაზას ,,სინათლე იქ უნდა, სადაც კი უფრო ბნელიაო'' ისე გაუტაცებია თქვენი თავმოყვარეობა, რომ არამც თუ დაუკვირდებოდით ჩემს ნაწერს, არამედ მაშინ რომ ახლოს გენახეთ, ეგებ სხვასაც მკადრებდით...

ნუ თუ არ დამეთანხმებით იმ აქსიომურ ჭეშმარიტებაში, რომ უცხო ტომის პირს, რომელსაც შენი არც ენა ესმის და არც კარგს უთანაგრძნობს, უფრო ნაკლები სარგებლობის მოტანა შეუძლია, ვიდრე შენს ღვიძლ შვილს, შენს სისხლს და ხორცს, შენს მოძმეს?! ნუ თუ უცხო ტომელთან შედარებით ჩვენებური კაცის ჩვენშივე მოღვაწეობა ,,ფას დაუდებელი'' და სანეტარო არ არის?! მე მეგონა, თუ ეს ჭეშმარიტება ყველასათვის გასაგები იქნებოდა, მაგრამ, საუბედუროთ, თქვენ, თ. გელოვანო, კი სულ სხვა ნაირად გაგიგიათ და ამ გვარად გაჯავრებული, დაცინვის კილოთი ეხებით ჩემს ზნეობრივ მხარეს და იმ ოჯახს, რომელსაც მე აღუზრდივარ. ზრდილობა რომლის წერილში უფრო კოჭლობს ამაზედ ჩვენ არას ვიტყვით, რადგან ,,თავის ქება კიტრად არ ღირსო, ნათქვამია''—ეს საზოგადოებისთვის მიგვინდვია. მე მდებთ იმ ბრალს, რომ ნათესავი მღომოდეს საქებად და თქვენ კი გაგლანძღეთ, ამასთან მე თითქო ისეთი მოღვაწე მამულის შვილი ვიყო, რომ ჯერ ლეჩხუმი არ მენახოს, თორემ ჩემს წარმოთქმულ აზრებში არ შევსცდებოდი. ნუ თუ, თ. გელოვანო, ინგლისი ან საფრანგეთი განათლებულ და გონება გაწრთვნილ სახელმწიფოდ არ შეგიძლიათ აღიაროთ, რადგან დარწმუნებული ვარ, საფრანგეთში და არც ინგლისში არ ბრძანებულხართ და იქაურ გონება გახსნილ-განათლებულ პირებსაც, ვგონებ, ძლიერ ცოტას იცნობთ? ნუ თუ რადგან ლეჩხუმი არ გვინახავს, მიტომ არ გვეცოდინება მისი გონებითი და ქონებრივი სიმდიდრე, ტერიტორიული სამზღვრები და სხვანი? ეს ისეთი ანბანური ჭეშმარიტებაა, თ. გელოვანო, რომ ამაზედ ბაასი კიდევაც მრცხვენია მწერლობაში. ვსთქვათ, რომ კიდევაც მოვსულიყავი ლეჩხუმში, გამეცნო მისი მცხოვრებნი, ნუ თუ იმას ვიტყოდი, რომ ,,ლეჩხუმში სწავლა-მეცნიერება სდუღს და გადმოდის მეთქი და ან აქ არც სინათლე არის საჭირო და არც ახალგაზდა უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულ ქართველის მოღვაწეობას ,,ფას დაუდევლობა არ ეწოდება-მეთქი. თქვენ პირს შაქარი, რომ თქვენ მართალი იყოთ და მე მტყუანი, რომ ყველა სწავლა-მეცნიერების შარავანდედით ვიყოთ გაბრწყინვალებული! ღმერთმა ჰქნას, რომ შევმცდარიყო ჩემს წარმოთქმულს აზრებში. დარწმუნდით, თ. გელოვანო, რომ ეს იმდენად მასიამოვნებს და გამიორკეცებს იმედებს, რამდენათაც ჩემს პატარა ამბავს თქვენ ასე შეუწუხებიხართ. საუბედუროდ როდესაც რიგია პასუხის გება და წრფელი ერთგული წინააღმდეგობა რომელიმე შემცდარი აზრების წარმომთქმელის წინაშე, მაშინ თვითეული ჩვენთაგანი რაღაც შიშის ბურუსით გარემოცული ვიმალებით, ვიკუჭებით თავ თავის ფარდულში და მხოლოდ თავის მოძმის წინაშე ვმეტიჩარობთ, ვყოყოჩობთ და ვბაქიობთ. თ. გელოვანო, თუ კი ასე დარაჯათ უდგიხართ ლეჩხუმის მაზრის და მისი ავი გაწუხებთ, სად ბრძანდებოდით 1882 წელში, როდესაც ბ. ორლოვმა ოფიციალურ გაზეთ «Кавказъ»-ში მოგახსენათ. რომ „ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებნი გლეხნი გაუზრდელნი და სწავლა მეცნიერების საჭიროებით მცირედ გამსჭვალულნი არიანო'' და სხვანი.. რათ მაშინ არ უგეთ ასე გაწიწმატებული პასუხი? ვინ უგო შორაპნიდგან პასუხი? თუ არა თქვენგნით დაცინვით ნაწოდებმა დიაკვანმა!! გადაავლეთ თვალი მაშინდელ გაზეთ ,,დროების'' ნომრებს და შეიტყობთ, რომ თქვენზედ ნაკ-

ლებ არც ჩვენ, დიაკვნებს, გვახარებს ლეჩხუმთან ერთად ჩვენის ქვეყნის სიბედნიერე, გონების სინათლე და გვაწუხებს მისს მკვიდრთა უცხო ტომისგან დაჩაგვრა დაბეჩავება?! ან და თუ ასე გამსჭვალული ბრძანდებით პატრიოტულის გრძნობებით, რატომ არ იღებთ ხელში კალამს და არ წინააღუდგებით იმ წლის «Новое время» ს მე 7068 და 7091 ნომრებში ქართველ თავად აზნაურების შესახებ გამოთქმულ ვილაც «Кавказецъ»-ის აზრს, რომელიც თამამად გეუბნებათ, რომ „Мы можемъ указать на сотны дворянъ и родовытыхъ князей которые совершенно не грамотны. (ჩვენ შეგვიძლია ასობით ჩამოვთვალოთ აზნაურები და შესანიშნავი გვარეულობის თავადები, რომლებმაც სრულებით წერა-კითხვა არ იციან და დღეს მსახურობენ მზარეულად და ლაქიებად თბილისში“)... აი ვინ არის პასუხის საგები, აი ვინ გაყენებსთ შეურაცხყოფას, თორემ მე, ჩემს წერილში აზრათაც არ მქონია ვინმე შემერაცხყოს [1].

თ. ხუსკივაძე.

სოსიკო კეჩხუაშვილი.

(ნამდვილი შემთხვევა 1892 წელსა ხოლერობის დროს)

III

(გაგრძელება *)

შინ მისვლის უმალ პირდაპირ
სოსო საყდრისკენ წავიდა...
კარები დაალებინა,
შიგ სალოცავად შევიდა.
რა გამოვიდა საყდრიდგან
ეზოში შეხვდა მოძღვარი,
რომელიც გულით უყვარდა,
როგორც ბოროტის მგმობარი.
სოსომ სთქვა: «დიდი ვაება»
ეწია ჩვენსა მხარესო,
ხალხი შეშინდა, შეწუხდა
და ღვრის ცრემლებსა მწარესა!
ბევრი რამ ილაპარაკეს
ორივემ ამ მთის იმ ბრისა,
მაგრამ ღირს შესანიშნია
შემდეგი სიტყვა მოძღვრისა.
იცოდე, სოსო, მან ბრძანა—
ხშირად უფლისა სასჯელი
ცოდვილი კაცისათვისა
ძალაა გამხიზლებელი.
ხოლერამ გამოაღვიძა,
მძინარე ჩვენი ერიო,
ბევრსა ასწავლა მან ჭკუა,
თუმცა იმსხვერპლა ბევრიო.
თანაც ზოგ ახალ-გაზრდასა
მან აუძგერა გულიო,
ბეჩავი ხალხის საშველად
მან ჰყო თავ-განწირულიო.
არ მიყვარს სიტყვით ტრაბახა,
ლაქლაქა მამულის შვილი,
ვისაც არ უწყლავს ღრმად სულსა
მოძმისა გულის ტკივილი.
ვინც მხოლოდ ბალში, სუფრის წინ
და თავისავე საწოლში
იქადის მოძმის შველასა
ათას ნაირსა მას ჭირში.
ბოლოს დროს გაჩნდა ჩვენ შია
ბევრი ცრუ-მამულიშვილი...
ეს არის ჩვენი დროს სენი
და მოსარჩენი ტკივილი.
ხელში უჭირავსთ მათ «ტროსტი»,
ცხვირზედ აქვსთ ლურჯი «პანსნები»,
სტკეპნიან ქალაქის ქუჩებს
ნამდვილ თავ-ქარიანები,
ლაქლაქით შავს ზღვას კასპიის
ზღვაშია გადაასხამენ,
მყინვარის მთასა მოსთხრიან,
ქართველს მთვარეზედ დასვამენ...
არც ცოდნა, განვითარება,
არც ღრმა შორს-გამჭვრეტელობა—
არ მიუცია მათთვის ღმერთს,
და უყვართ სიტყვის გმირობა!
თვითონ ქალაქში სცხოვრობენ,
სიტყვით მამულზედ ზრუნავენ,
არ მოვლენ ერთხელ სოფლადა,
გლეხის შავბედსა არ ნახვენ.

---

[1]) მ. რ! ეს პასუხი „ივერიამ“ არ დამიბეჭდა და გთხოვთ თქვენ მაინც დამიბეჭდოთ და მით მომცეთ საშუალება პასუხის გებისა.. თ. ხუსკივაძე.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 24, 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან კ რათ უნდათ სოფელი,
სად ცხოვრობს ხალხი საწყალი,
ქალაქსებურს მშვენებას
მათი ვერ ნახავს იქ ფალი?!
რათ უნდათ იმათ სოფელი,
ღარ-ში გარეგნობითა,
სად ჭკუით დიდ-ლუნგდებიან,
გაირყვნებიან გრძნობითა?!
რად უნდათ იმათ სოფელი
მუდამ მას მხოლოდ მტერალი,
ან სოფლის ხალხი ძონძებში
მწუხარედ გამომქერალი.
სოფელსა უნდა სწავლულთა
შელა და დახმარებანი;
მათ უნდა ბეჩავ ხალხისა
ჰკურნონ გულ მხეთქი სევდანი.
ხალხისა გაპირებაზედ
დღეს ბევრი ითბობს ხელებსა...
მთავრობისგან იღებენ
ჯილდოდ დიდს ჯამაგირებსა.
ორიოდ მოლეაწეზედ კი
რომელნიც დღეს ხალხს შველიან,
ეს სოფლის სასლის მწოველნი
«დაბეჭდებასა» გზავნიან.

ი. ნ—ლი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

სასულიერო და საერო ნახსტებიანი კალენდარი უკვე დარიგდა გასასყიდლად სხვა და სხვა საქართველოს კუთხეებში. მსურველთ შეუძლიათ იყიდონ ქუთაისში «მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ამავე ქალაქის წიგნის მაღაზიებში, თბილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნთ-საცავში, სიღნაღში დეკ. სიმონ ბეგიევთან, თელავში მღვ. ი. შიუკოვთან, ზუგდიდში დეკ. მიხეილ მეუნარგიასთან, სამტრედიაში მღვ. იელიანე ჭეიშვილთან, სენაკში ბლ. მღვ. არისტარ. კალანდარიშვილთან, ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან, ჭათუოურში თ. არდიშვილის მაღაზიაში და საჩხერეში ბ. ყარაბაშ ჩხეიძესთან. ფასი ყველგან თითო ცალისა აბაზი. ვინც ასობით წაიღებს ნაღდ ფულზე, იმას თითო წიგნზე დაეთმობა თითო შაური.

***

ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი ახლად დაბეჭდილი ქართული წიგნები:

1) ქუთაისის ანხანაგობისაგან გამოცემული **საქართველოს ისტორია** თ. ს. ბარათაშვილისა, პირველი რეეული, ნათარგმნი ს. ხუდაძის მიერ. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 165 გვერდს და ღირს 30 კ. ჩვენი საზოგადოება, იმედია, დიდის ხალისით მოიპოვებს ამ წიგნს, რომ ერთის მხრით ცოტაოდენავ მაინც შეიტყოს ის ნაკლი, რომელიც თვითოეულს ჩვენგანს ემჩნევა თავისი სამშობლოის ისტორიის ცოდნის საქმეში და მეორეს მხრით ნივთიერად ხელი მოუწყოს ქუთაისის ანხანაგობის კეთილ მისწრაფებას.

2) **მოკლე ქართული გრამატიკა**, შედგენილი და გამოცემული ანდრია ს. ძის ბენაშვილის მიერ. წიგნი შეიცავს 42 გვერდს და ღირს 25 კ. ეს წიგნი საჯარგებლოა არა მარტო მოსწავლეთათვის, არამედ ყოველი ქართველისათვის.

3) **შრომა**, სიმდიდრე და ფული ადამ სმიტის სურათით ი. გორდეევის მიერ. ფასი 15 კ.; შეთვეზის შუადი ზღაპარი 12 სურათით. ფასი 20 კ. პირველი წიგნაკი არის დანიშნული მოზრდილებისა და ხალხისათვის საკითხავად, ხოლო მეორე—პატარებისათვის. ორივე ეს წიგნაკები გამოცემულია ბ. როსტომაშვილის საფასით და რედაქციით. იმედია, ორივე ეს გამოცემა შესაფერ თანაგრძნობას მოიპოვებს ქართველს საზოგადოებაში.

4) ორი პატარა წიგნი ბ. კონსტანტინე თავართქილაძისაგან გამოცემული მაი დაბეჭდილი მისე სტამბაში «საჩუქარი» ანუ რჩეულთა ლექსთა კრება და დემონი. პირველი წიგნი შედგენილია გომელაურის მიერ და მეორე მ. გურიელისაგან. ფასი პირველისა ხუთი კაპეიკა და მეორისა 10 კ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზე და კეთილ-ზნეობაზე.

სიტყვა,

თქმული ახალ წლის დღეს ხირსის წ. სტეფანეს მონასტრის ტაძარში

არხიმანდრიტის ლეონიდას მიერ.

> უფალო! უტ‌ევე ეგე ამასცა წელსა... ჰეოს ხოლო თუ ნაყოფი, უკეთუ არა, მერმე მოჰკვეთე იგი. (ლუკ. 13, 8—9.

მოგილოცავთ, ქრისტიანენო, ცხოვრების ერთი წლის უვნებლად განვლას და ახალი წლის კარებშიაც მშვიდობიანთ ფეხის შედგმას. ვეკედრები ფრფელის გულით «ყამთა და წელთა დამბყარებელს» ფმერთსა, რომ გეოთ მოწვნულ წელსაც უვნებელნი სულით და ხორცით, «დაცხროს თქვენ შორის ყოველი მტრობა, უწესობა, ურთიერთასი ბრძოლა; მოგანიჭოთ მშვიდობა, მტკიცე და პირუთვნელი სიყვარული, კეთილ წესიერებითი თანხმობა, სათნოებითი ცხოვრება, წვიმა კეთილ-ყამიერი ცვარი ნაყოფიერი, ქარი ზომიერი და კეთილ-შეზავებული»!

თქვენცა გაქვთ მიღებული დღევანდელ დღეს ერთმანეთში ახალი წლის მილოცვა და ბედნიერების ნატვრა-სურვილი. არ არის ურიგო ეს ჩვეულება, არც ღვთის საწყენო რასმეს წარმოადგენს ბედნიერების ნატვრა, მხოლოთ ეს კი უნდა ვიცოდეთ, რომ ნატვრა ისევ ნატვრათ დარჩება, ჩვენ არაფერი არა შეგვეძინებარა და ვერც მივიხწევთ ვერასოდეს ბედნიერებას, უკეთუ არ გვეცოდინება, რა დანიშნულებისათვის გვაძლევს უფალი სიცოცხლეს, რომელი მიზნის გასრულებელებლათ, ანუ მისახწევთ გვაგებებს იგი ახალ წელს. გადავდგეთ, ქრისტიანენო, ძველი წლიდამ ახალში არა ჩვენი სურვილით, არა რომელიმე შემთხვევით, არამედ ძალითა და სურვილითა ღვთისათა მარტოდმარტო იმ მიზნით და დანიშნულებით, რომ დირსეულათ გამოვიყენოთ ღვთისაგან ნაბოძები დრო, ვისარგებლოთ ყოველი საათით, დღით და თვით ჩვენ საბედნიეროთ, ე. ი. შევინახოთ განვლილ წელში ჩანადენი ცოდვანი. მოვიშალოთ ძველი ავზნეობა, ბოროტება, ღვთის საწყენი ჩვეულებანი და ყველა ამების სამგიეროთ გამოვიღოთ ჯეროვანი ნაყოფი სულიერი ცხოვრებისა, რომელსაც შეადგენენ: სიყვარული, მშვიდობა, სულ-გრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მუდრეობა, მარხვა. მოთმინება. (გალატ. 5, 22.) აი რის შესაძენათ გვეძლევა ჩვენ ღვთისაგან სიცოცხლე, რის მოპოვებას უნდა მოვანდომოთ როგორც ეს, ისე მომავალი ახალი წლები! აი, რა აზრს უნდა უდვიძებდეს თვითეულს ჩვენგანს ძველი წლიდამ ახალში გადადგომა, რა გარემოება უნდა გვაფიქრებდეს დღეს განსაკეთრებით!

სამწესაროთ, მრავალს არ გვესმის ამ გვარი დანიშნულება დღევანდელი დღისა, ბევრმა არ ვიცით, რომ მოვალენი ვართ დღეს გულწრფელათ შევინახოთ წარსული წლის უსარგებლოთ და უჯერეროვნოთ გატარება, ბევრს აზრადაც არ მოგვდის, რომ დღევანდელი დღე გვიღადგებს და ვალათ გვდებს ახალი, სულისთვის სასარგებლო, ღვთისნიერი ცხოვრების დაწყებას. რა თქმა უნდა, ამ გვარი დაუდეგრობით, ამ გვარი გულდაუდებლობით და უზრუნველობით შეარეთ ვარისხებთ ფმერთსა, ბერეს ჩვენგანს ამის გამო დამსახურებულიცა აქვს მისგან ცხოვრების მოსპობა, სიკეთილი, მაგრამ მრავალ-მოწყალეობა ღვთისა გეიფარავს და გვაძლევს კიდევ ახალ სიცოცხლეს იმ აზრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოლოდინით: იქნება ამ წელსა მაინც შეიგნონ თავიანთი დანაშაული, შეინანონ წარსული ცხოვრების უნაყოფობა და დაადგენ სასურველ გზასა. დიაღ, უფალს არ ჰსწადია ჩვენი წაწყმენდა, იგი მუდამ მოელის ჩვენ მოქცევას. ცოდვათა შენანებას, სიკეთის გზაზე დადგომას და ამას გამო, რომ თუმცა და, როგორცა ვთქვი, დამსახურებული გვაქვს მომეტებულ ნაწილს ჩვენი უაზრო და საწინააღმდეგო ცხოვრებით სიკვდილი, მაინც კიდევ გვითმენს და გვაძლევს სიცოცხლის ერთ წელსაც, რომ ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში მოვიდეთ გონზე, შევიგნოთ დანაშაული, დავადგეთ ღვთის საამო და ნაყოფიერ ცხოვრებას. ეს აზრი მეტათ მარტივათ, მეტათ ცხადათ და გარკვევითაა გამოხატული მაცხოვრის ერთ-ერთ იგავში, რომლიდამაც არიან ამოღებულნი ამ მოძღვრების დასაწყისში მოყვანილი სიტყვები. მარტივი და მშვენიერია ეს იგავი; ერთობ ადვილი და გულსათხრობია იგი საზოგადოთ ყველასათვის და კერძოთ თქვენთვის, რადგანაც მთელი შინაარსი ამ იგავისა თითქოს ამოღებულია სწორეთ იმ ბუნებიდამ, რომელშიაც თქვენ სცხოვრობთ. აი ეს იგავი: ერთ კაცს ედგა ვენახში ლეღვის ხე; ვენახის პატრონი სამი წელიწადი ზედი-ზედ მიდიოდა და ათვალიერებდა ამ ხეზე ნაყოფს, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ ნახა იგი მსხმოიარე, ამის გამო მოუწოდა მებაღეს და უბძანა: ეს ხე ტყუილ-უბრალოთ იჭერს ალაგს: სამი წელიწადია თვალს ვადევნებ და ერთხელაც ვერა ვნახე მოსხმული, მოსჭერი, როგორც უსარგებლო. მებაღეს დაენანა ხის მოჭრა და შეეხვეწა ვენახის პატრონს. ბატონო, ერთი წელიწადი კიდევ აცადე ამ ხეს და თუ ამ წლის შემდეგაც არ მოისხა, მერე მოჰსჭერიო.

სწორეთ ამ ვენახის პატრონის მსგავსათ, ყოველი წლის გასულს მოდის ხოლმე ჩვენთან, მამასადამე მოვიდა გუშინაც დამბადებელი და გამჩენი ჩვენი ღმერთი გამოსაძიებლად და შესატყობად იმისა, თუ რა პატიოსნება, რა ზნეობრივი სიმდიდრე, სიკეთე და წესიერება შევიძინეთ და შევიმატეთ განვლილ წელში; რომელი ბოროტება, ავი ქცევა და უდიერება მოვიშალეთ და მოვსპეთ ჩვენ შორის წარსული წლის განმავლობაში. მაგრამ რას იპოვნიდა იგი ჩვენი ცხოვრების ხის ტოტებზე? აი, მაგალითად, შენ წარსულ წელში გეწვია რამდენჯერმე შვილებისა და ნათესავების ავადმყოფობა; იმის მაგივრათ, რომ მიგემართნა, როგორც მოითხოვს ღვთისა და მართებული გონების წესი, მოძღვრისა და შეგნებული მკურნალისთვის, გარბოდი მუდამ ვიღაცა მკითხავ დედაკაცთან და იმის ყალბ რჩევა-დარიგებას ასრულებდი იმ ნაირი სიმტკიცით, სასოებით და გულდაჯერებით, როგორი სიმტკიცე და სასოება უნდა გქონდეს მხოლოთ ეკკლესიის სწავლა-მოძღვრებაზე. შენ ისარგებლე მეზობელთა გაჭირვებული მდგომარეობით და მიასესხე მათ ფული ღვთის საწყინო და კანონით აღკრძალული სარგებლის გადახდევინებით; შენ გაუმატე და შემოირგვალე მამულის საზღვრები ქვრივ-ობლების ქონებათა მოტყუებითი შეძენით; შენ დაასახიჩრე და სული ამოართვი რამდენიმე ცალ მუშა საქონელს აუტანელი ჯაფით და უჯიათი ცემით; შენ ჩვეულებათ გაიხადე ფიცისა და პირობის გატეხა, უარყოფა და მიცემული სიტყვის აუსრულებლობა; შენ შეგიპყრო ბილწ-უშვერი სიტყვების ხმარებამ, შენ მთელი წელიწადი გაატარე მეზობლებთან და შენივე ოჯახის წევრებთან შფოთში და ონავრობაში; შენ გასაოცარი გულდინჯობით სტეხდი ყოველ კვირა-უქმეს მაშინ, როდესაც სადაგ დღეებში ძალიან ხშირათ რჩებოდი უსაქმოთ, ის დარჩა უზიარებელი, ამას დიდ დღესასწაულებშიაც არ გაუვლია ეკკლესიაში, ამას..., მაგრამ კმარა, მეტია ამის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითითება და ჩვენება: ცხადია მომეტებულ ნაწილს არამცთუ არ მოგვიშლია ძველი ბოროტი და მავნე ჩვეულებანი, პირიქით ბევრი რამ ახალიც მიგვიმატებია და შეგვიძენია მათთვის! უეჭველია, იხილა რა ჩვენი ცხოვრების უნაყოფოება ზეციერმა მამამ, გუშინვე ბძანა, მსგავსად სახარების მევენახისა, ბევრის შესახებ: მოჰკვეთე ეგე, რასათვის ქვეყანაცა დაუპყრიეს უქმად? თქვენ თითონ გრძნობთ, ქრისტიანენო, რამდენათ სამართლიანი და პირუთვნელია ამ გვარი გადაწყვეტილება ღვთისა ბევრის შესახებ! რამდენს, რამდენს ჩვენგანს გუშინვე უნდა მოსმოდა ბასრი ცელი ულმობელი სიკვდილისა? რამდენი ჩვენგანი, როგორც უნაყოფო და გამოუსადეგარი ხე, გუშინვე უნდა მოკვეთილიყო სამუდამოთ და თუ ყველანი ცოცხალნი შევესწარით დღევანდელ დღეს, ეს უნდა მივაწეროთ მარტოთ-მარტო სულგრძელებას, რომელიცა ბძანებს თვითეულ ჩვენგანზე: უფალო! უტევე ეგე ამასცა წელსა... ჰყოს ხოლო თუ ნაყოფი, უკეთუ არა, მერმე მოჰკვეთე იგი (ლუკ. 13, 8—9). საშიშია, ძმებო, იქნება, ამ სიტყვების გაგონება, მაგრამ სამაგიეროთ სასარგებლოა მათი ხშირად მოსმენა და მუდმივი ხსოვნა! ვიცოდეთ და გვახსოვდეს ყველას, რომ ცული ღვთის რისხვისა სძევს ჩვენი სიცოცხლის ძირთან... ერთი სიტყვა, ერთი მოძრაობა მეუფისა და სამუდამოთ გამოვესალმებით წუთი სოფელს, ე. ი. ჩავცვივით მუდმივ, გაუთავებელ და დაუსრულებელ ტანჯვა-წამებაში, უკეთუ ეს წელიც გავატარეთ გვლავინდებურათ უყურადღებოთ!

მივიჩნიოთ, მსმენელნო, ეს წელი ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ წლათ, წარმოვიდგინოთ, რომ ბევრი ვეღარ ვეღირსებით მომავალი ახალი წლის შეგებებას, დავეთხოვნეთ ჩვეულობრივ დაუდევრობას, ვუგმართოთ ჩანადენი უწესოება, შევიგნოთ, რომ ახლა კი დროა «განდვიძებად ჩვენდა ძილისაგან (რომ. 13, 11), განვიძარცვნეთ ძველი იგი კაცი საქმით მისითურთ (კოლას. 3, 9) და ამიერითგან, ძმანო, რავდენი არს ჭეშმარიტ, რავდენი პატიოსან, რავდენი მართალ, რავდენი წმიდა, რავდენი საყვარელ, რავდენი საქებელ, რავდენი სათნო და რავდენი ქებულ, მას ჰზრახევდით (ფილიპ. 4, 8). ამინ!

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

მთავარ-დიაკონთა საყურადღებოდ.

როგორც ბლაღოჩინების მოხსენებისაგან ისე სატახტო ქალაქის კათედრის ტაძრებში და ეკკლესიებში თავისი მსახურების დროს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, მიტროპოლიტს პალლადის შეუნიშნავს, რომ მთავარ-დიაკვნები ეკტენიების წარმოთქმის და სახარების და სამოციქულოის კითხვის დროს არ იჩენენ შესაფერ კრძალულებას. ისინი უმეტესად ცდილობენ, რომ მლოცველთ თავი მოაწონონ თავიანთი ბოხი და მაღალი ხმით. ამასთანავე შენიშნულია, რომ ზოგიერთი მთავარ-დიაკვნები ღვთის-მსახურების დროს ისეთ ტანის მოძრაობას ჩადიან, რომელიც საზოგადოთ წინააღმდეგნი არიან კეთილ წესიერებისა და ეს გარეგანი მათი ტანის მიმოხვრა ამტკიცებს, რომ იგინი უგულოთ და შეუფერებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობათა.

ამ ნაკლულევანებათა მოსასპობლად ეხლავე მისწერონ კონსისტორიებმა ბლაღოჩინებს, რომ მათ კიდევ განუმეორონ სტახტო ქალაქის ტაძრების მთავარ-დიაკვნებს, რომ მათ ექტენიები წარმოსთქვან და სახარება და სამოციქულო წაიკითხონ კრძალულებით, ნელა და ამავე დროს დაიცვან გარეგანი კეთილ-წესიერება. ამავე დროს მიეწეროს სტახტო ქალაქის ბლაღოჩინებს და კათედრის ტაძრების კანდელაკებს, რათა მათ, რაც შეიძლება, ხშირად იარონ ტაძრებში და სობოროებში და თვალ-ყური ადევნონ, რომ მთავარ-დიაკვნებმა შესაფერად და კრძალულებით აღასრულონ თავიანთი მოვალეობა და რაც შენიშნონ, დაუყოვნებლივ მოახსენონ მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას.

შეწირულებანი.

დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. დავით და კონსტანტინეს ღუსკუმისათვის მივიღეთ ხუთი მანეთი თავადის ედიშერ ხიდირბეგიშვილისაგან, ერთი მანეთი მარიამ იოსების ასულის ხატაშვილისაგან და ერთი მანეთი დიმიტრი ხატაშვილისაგან და სულ შვიდი მანეთი.

ამ ფულებისა იყო 3244 მანეთი და 16 კაპ. ამიანად იქნება 3246 მან. 16 კაპ.

ჰელიშის მონასტრის არქიმანდრიტის მ. ნიკიფორესაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემულის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე ისე ჩემმა კრებულმა რაჭაში მცხოვრებს თავადს ქაიხოსრო ოტიას ძე'ს ყიფიანს, რომელმანც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო მონასტერს 172 მანეთად ღირებული ნივთები და სახელდობრ: ერთი დიდი ხომლი, ღირებული ხუთ თუმნათ, ტრაპეზზე დასადგმელი ერთი სანაწილე, ღირებული ოთხ თუმნათ, ერთი დიდი ჯვარი ეკლესიის თავზედ დასადგმელი, ღირებული რვა თუმანი, ტრაპეზზე დასადგმელი ორი შანდალი, ღირებულნი ოთხ მანეთად.

ჰალის-თავი'ს ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდლის მ. დავით სალოძისაგან ჩვენ მ ვიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემულის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჩემდამო რწმუნებულის ჰალის თავის ეკკლესიის სამრევლოსაშინა მცხოვრებს აზნაურს მამუჩარ დიმიტრისძე ტყავაძეს. რომელიც, თითქმის, ყოველ წლობით სწირავს ნივთიერად ოცი მანეთის საღირალს, ამ წელში შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ ეკკლესიას შანდლები, ღირებული 16-ის მანეთისა და დაფარნები, ღირებული ექვსი მანეთისა; ამასთან იგი გვაძლევს ყოველგვარს შემწეობას ეკკლესიის სასარგებლოთ!

რედაქციის პასუხი.

მედავითნეს რ. მეგრელიძეს. დიდათ გმადლობთ ორი წლის მამა თქვენზე დარჩენილი გაზეთის ფულების გამოგზავნისათვის, ისიც ჩვენგან მოუთხოვნელად. გაზეთი თქვენი სურვილისამებრ მოგერთმევათ.

მღ. ელ. ხ—ლას. გაზეთს გამოგიგზავნით, მაგრამ არ იწერებით, სად? გაზეთის გამოგზავნა არ შეიძლება, თუ ადგილი არ დაასახელეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალ პირთა. კაღლენდრის გაკეთებანი სითოთუდოდ სიძნელოა. უმჯობესია დანიშნულ ადგილებში იყოდოთ.

ერთს მღვდელს. მედგეთონის ადგილზე მოსამსახურე მთავარ დიაკონს უფლება არა აქვს არ დასწერას უმწეოების ნათლიების და დასაფლავების დროს; ეს მღვდელ-მოქმედებანი უსასყიდლოდ უნდა ბიანწერას მეტრიკულს წიგნებში. სასულიერო უწყებაში მოქმედ დიდგენილებაში არსად აღგრძელულია არ არის შეობლების სულის მოსახსენებელ წინა დღეებში ჯვარის წერა.

მღვ ნ. ჩ—ძეს. ეკეკლესიის გალავანი და სენაკი არის ეკეკლესიასკენ საკუთრება. ასალი გალავნის გაკეთების დროს ძველი გალავნის და სენაკის მასალა უნდა გაიყიდოს და ფულები ეკეკლესიის მოხმარდეს, ან ეს ძველი მასალა უნდა იხმარონ ეკეკლესიის საჭიროებისათვის როგორც შეა.

ერთ მღდელს. თუ თქვენს ზედამწერად ეკეკლესიაში არ შეიძლება დეთის-მსახურების აღსრულება იმის გამო, რომ ტრაპეზის გარშემო თოკი ქვეს და ქარი ქრის, ეს უნდა მოახსენდეს ეპარქიის უმფროს. თუ როგორ უნდა დიმტკიცონ ეკეკლესიებმა უმრავი მამულები, ეს ნახვენებია სასულიერო კონსისტორიის წესდების 106 მუხლში. გეთესებს შეუძლიათ დასტურონ ეკეკლესიების მთადმი კუთვნილი უმრავი მამულები და მაშასადამე მიწებიც, თუ ეს მიწები მათი საკუთრებაა.

ერთ მღვდელს. ეკეკლესიურ დიდგენილობებში ნაჩვენები არ არის, რომ ექვსი წლის მიტვალებულ უმწეოებს ხელში მისცენ შენდობის ფურცელი, ვინიდგან შვიდი წლის მეტნი უმწეოების წესის აგების დროს შენდობის ფურცლის მაგიერ იკითხავა ლოცვა. ფულის მოპატება შენდობის ფურცლებზე მღვდლისათვის სასტიკ დასჯას გამოაწვევს.

განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა 1896 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

„მოამბე"-ზედ

(III წ.)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში:				სამზღვარ გარეთ:			
1 წლით	. . . .	10	მან.	1 წლით	. .	13	მან.
6 თვით	. . . .	6	»	6 თვით	. .	7	»
3 თვით	. . . .	4	»	3 თვით	. .	5	»

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანონ: 1 იანვარამდე 4 მან. 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სეპტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის აღრესი: Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «МОАМБЭ». 3—2

რედაქტორი	გამომცემელი
ალექსანდრე ჭყონია	ალექსანდრე ფიბადარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლებლებისთვის ან სხვა საკითხავი წიგნები,

დაწერილნი ივანე გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შევ'ებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის ეხმარებელთ აღარ მოუნდებათ ყიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. ფასი ოქროქანი შაური, ანუ ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სასწავლებლად დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უფროფლის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც ეგზემპლარს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა — თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა — თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშვენიერი სასწავლებლებისა ქართულის ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორჩა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სასწავლებლში სახმარებელი, გამოცემა ბერეე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცალრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა-ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

**ხ

მელი**, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იაკინანმ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, მეორე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ხაბის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

ასკინეის ოქმი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით, მეორე გამოც. ფასი 10 კ.

მირიმანი უაუდმართოვა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენა მნიშვნელობის შესახებ კარგა ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 ко пѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова" одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ" одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (смотри „Сборникъ" распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано „Русское Слово" духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ყველა ეს წიგნები ფმოაერესად იყიდება: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში: ბეჟანეშვილთან, ჭილაძესთან და ხეთერელთან, ბათუმში თავართქილაძესთან და კალანდაძესთან, ფოთში—ტუღუშთან, ოზურგეთში და სენაკში თავართქილაძესთან, ლანჩხუთში ციცაძესთან, სუხუმში ჭაბეჭიანიძესთან, ყვარელში—არაბიძესთან, სიჩხერეში ყარამან ჩხეიძესთან, სურამში და ხაშურში შურღაიასთან, გორში—კალანდაძესთან, თელავში—მიხეილ ციხკარაშვილთან, სიღნაღში ამბანაგობის მაღაზიაში, ელადიკიკავში მასწავლებელ ბოცვაძესთან.

15—3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ კვირიულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"-ზე

❧

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ფასი ჟურნალისა:

12 ოვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ ორივე გამოცემა 4 „	— „ ორივე გამოცემა 3 „
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 1 „

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობა თ მთელის წლით სამ მანეთად.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას შესანიშნავი განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააცოცხლოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააცოცხლოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ-ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთ საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დამორჩეული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას ❧ ხალხის ცხოვრებას.

რედაქცია აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირაღაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირაღაში**, აგრეთვე **ქუთაისშაც**. და **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **გორში**—სასულ. სასწავლებლის მასწავლებელ ილია ი. ფერაძესთან; **საჩხერეში**— მ. ყარალან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. **ახალქალაქში**—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მატარაძესთან.

ბარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».**

ამ მიმდინარე წლის სარქარი შეოთა რუსთაველის მხატვრობა უკვე დაურიგდათ ხელის მომწერთ და ვისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

1896 წლის «მწყემსი»-ს ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ

მაზრდადი ფოტოგრაფიული მხატვრობა

საქართველოს მეფის წმ.

დავით აღმაშენებელისა

❧

იმერეთის ეპისკოპოსის

გაბრიელისა

ეს მხატვრობანი ფულის შემოტანისათანავე გაეგზავნება ყველა ხელის მომწერთა.

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: 1 ივნვარი 1896 წ.—ახალი წელი.—ქართული სიტ. გალობა.—საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი.—ეკეი.—პასუხი თ. ივსონ ბელოვანს.—სოსიკო ეკეზუაშვილი.—ახალი ამბები და შენიშვ.

სწავლა-ძეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე: სიტყვა, თქმული ახალ წლის დღეს არქ. ლეონიდის მიერ.—

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: მოთავარ-დიაკონთა საყურადღებოდ.

—შეწირულებანი.—რედაქციის პასუხი და განცხადებანი.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ,* 12 Января 1896 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананoвыхъ, на Нѣмецкой ул.